სამედიცინო ტურიზმის აქტუალობა საქართველოში - გამოწვევები და შესაძლებლობები

ეკა კაპანაძე

მარიამ ფანცულაია

ლია ფეიქრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკა კაპანაძე

ლია ფეიქრიშვილი

მარიამ ფანცულაია

26/06/2017

აბსტრაქტი

პროექტის მიზანია დაეხმაროს საქართველოში არსებულ სხვადასხვა მრავალ და მონოპროფილურ კლინიკას სტრატეგიის შემუშავებაში, რათა შესაძლებლობის ფარგლებში მინიმუმამდე შემცირდეს პაციენტების გასვლა სამკურნალოდ სხვა ქვეყნებში და ასევე, გაიზარდოს სამკურნალო მიზნებისთვის პაციენტების შემოდინება._კვლევის მიზნებზე და შედეგებზე ორიენტირებიდან გამომდინარე ჩატარდა რამდენიმე ეტაპიანი საკვლევი სამუშაოები. კერძოდ, მოსამზადებელი სამუშაოები და საველე სამუშაოები. რესპოდენტთა გამოკითხვა ჩატარდა ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით. საქართველოდან სამკურნალოდ გასული პაციენტები შევარჩიეთ არაალბათობითი შერჩევის მეთოდით (მიზნობრივი შერჩევა), ამავე მეთოდით შევარჩიეთ კლინიკები საქართველოში და საზღვარგარეთ. პაციენტების შემთხვევაში მონაცემების შეგროვებისას გამოვიყენეთ საქართველოს სოლიდარობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე პერიოდული ანგარიში. ტურისტული ორგანიზაციებისთვის და კლინიკებისთვის კი - ჩაღრმავებულ ინტერვიუ. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებში გამოიკვეთა რამდენიმე ასპექტი: 1) ორგანიზაციათა თანაბარმა რაოდენობამ თქვა, რომ ქართველი პაციენტები ყველაზე ხშირად დიაგნოზის დაზუსტების მიზნით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ. სხვა მომსახურებები, რომლებიც ასევე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დახასიათდნენ იყო ონკოლოგია, ორგანოთა ტრანსპლანტაცია, ნეიროქირურგია და ზოგადი ქირურგია; 2) კლინიკების კვლევაში საქართველოში სამკურნალოდ შემოსული უცხოელი პაციენტთა საშუალო წლიური რაოდენობა მონოპროფილური კლინიკების შემთხვევაში აჭარბებდა, მრავალპროფილურ კლინიკებში პაციენტების საშუალო წლიურ რაოდენობას; 3) ორგანიზაციების კვლევაში, უცხოელი პაციენტების მიერ სამკურნალოდ საქართველოში ჩამოსვლა დაკავშირებულია სწორედ, რომ მკურნალობის შედარებით დაბალ ფასებთან; 4) კლინიკებში ჩატარებული კვლევით ნათელი გახდა, რომ უცხოელი პაციენტების მოსაზიდად სხვადასხვა

მეთოდების გამოყენებისას ქართული კლინიკები მაქსიმალურად ზოგავენ თანხებს; 5) კვლევის შედეგად განისაზღვრა რამდენიმე ქვეყანა, რომელებიც ყველაზე მოთხოვნადია ქართველი პაციენტების მხრიდან. პირველ ადგილზე ამ ქვეყნებიდან არის თურქეთი; 6) კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამედიცინო ტურისტული კომპანიების როლი ქართველი პაციენტების საზღვარგარეთ მიგრაციაში საკმაოდ მცირეა. კვლევის შედეგად დავასკვენით, რომ საქართველოში არსებობს სერიოზული პრობლემაა ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის, კოლეგა მედიკოსების თანამშრომლობის. პროფესიული ეთიკისადა სხვა მსგავს საკითხთა კულტურის მხრივ. საბოლოო ჯამში, საქართველოს სამედიცინო ტურიზმში იმაზე მეტი რესურსი და შესაძლებლობა აქვს ვიდრე იყენებს. რეალურად არსებობს იმის შანსი, რომ საქართველოში გაცილებით მეტი ტურისტი მოვიდეს სამკურნალოდ და კმაყოფილი და სრულიად გამოჯანმრთელებული დაბრუნდეს სამშობლოში. სახელმწიფოს, სამედიცინო დაწესებულებებისა და ფასილიტატორების ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ამ მიზნის მიღწევა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სამედიცინო ტურიზმი, ფასილიტატორები, სამედიცინო ტურისტული კომპანიები, მონოპროფილური კლინიკა, მრავალპორფილური კლინიკა, მკურნალობა საზღვარგარეთ, სამედიცინო სერვისები.

სარჩევი